## სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2025წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის

## სხდომის ოქმი N 2

**სამტრედია** **05.08.2024წ.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2024 წლის 5 აგვისტოს, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა N6.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეული იქნა 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 თებერვლის Nბ62.622406602 ბრძანების შესაბამისად. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს-მუნიციპალიტეტის მერი დავით ზახტაძე.

**სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:**

**სამუშაო ჯგუფის წევრები:** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები-მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები , მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში,მერიის სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ეების წარმომადგენლები.

### დღის წესრიგი:

1 .სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა, რომელიც შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

**2**. საბიუჯეტო განაცხადის ფორმების სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენა და წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით ჭერების განსაზღვრა.

**განხილვა:**

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სა მსახურის უფროსის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან

დაკავშირებით და სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით( სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე.) და 15 ივლისისათვის ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

ყურადღება იქნა გაამახვილებული შემოსავლების ზრდაზე, განსაკუთრებით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე,ისაუბრა პრიორიტეტების ხარისხის გაუმჯობესებაზე და განიხილა ხარჯები კონკრეტული პრიორიტეტების მიხედვით.

2025-2028 წლების დასაფინანსებელ **ძირითად პრიორიტეტებზე** რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

**ინფრასტრუქტურის განვითარება 3407,8 ათ.ლარი.(** საგზაო ინფრასტრუქტურული განვითარება, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მოვლა-შენახვა, გარე განათების მოწყობა, მოვლა-შენახვა;)

**დასუფთავება და გარემოს დაცვა 3580,0 ათ ლარი.**

**განათლება 4500,0ათ ლარი(** საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება,საჯარო სკოლების ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება)

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი 4578,3ათ. ლარი**

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 3242,0თ.**

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება 6482,6ათ.ლარი.**

მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის არა უგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2024 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება პრიორიტეტების მოცულობა.

საფინანსო სამსახურმა( დ.ბაღდავაძე) უზრუნველყო საბიუჯეტო განაცხადის ფორმების სამუშაო ჯგუფისათვის წარდგენა.

**აზრი გამოთქვეს:** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, სამსახურის უფროსებმა, საფინანსო სამსახურის თანამშრომლებმა და დამსწრე პირებმა.

გამომსვლელებმა იმსჯელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მნიშვნელობებთან დაკავშირებით.

**სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:**

მიღებული იქნა გააწყვეტილება პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შესახებ.

# ინფორმაცია

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

(პირველადი ვარიანტი)

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028წლებისთვის, 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2025 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე, ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები**

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. შესაბამისად, 2025 წლისთვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები | 174 | 6,482,6 | 6,561,8 | 6,560,9 | 6,625,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 0 | 3,407,8 | 4,808,7 | 5,840,2 | 7,635,9 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 151,0 | 3,580,0 | 3,430,0 | 3,430,0 | 3,430,0 |
| 04 00 | განათლება | 380 | 4,500,0 | 4,500,0 | 5,000,0 | 5,100,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 405 | 4,578,3 | 4,441,1 | 4,597,0 | 4,650,7 |
| 06 00 | ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 58,0 | 3,242,0 | 3,312,0 | 3,382,0 | 3,452,0 |
| **სულ ბიუჯეტი** | | **1168** | **25,790,7** | **27,053,6** | **28,810,1** | **30,893,6** |

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები

| # | სახელი, გვარი | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1. | დავით ბახტაძე | სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე | |
| 2 | ვლადიმერ ზაქრაძე | მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე | [signature] |
| 3 | გიორგი მეიშვილი | მერის მოადგილე | [signature] |
| 4 | დავით ბაღდავაძე | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი | [signature] |
| 5 | ზეჟან გეგეშიძე | ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი | [signature] |
| 6 | სოფიკო ახობაძე | მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში | [signature] |
| 7 | პაატა ხარებავა | შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი | [signature] |
| 8 | ნოე ივანიაძე | ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი | [signature] |
| 9 | ზურაბ გოგია | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი | [signature] |

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 | ლევან ახობაძე | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი | |
| 11 | ამირან თევდორაძე | ზედამხედველობის სამსახურის უფროსი | |
| 12 | ნატალია მანჯგალაძე | განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი | |
| 13 | მედეა ლეჟავა | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი | |
| 14 | ნათელა ხაბეიშვილი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში | |
| 15 | მაკა სეხნიაშვილი | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და ზედამხედველობის საკითხებში | |
| 16 | თენგიზ ცაგურია | მერის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში | |
| 17 | ნუგზარ ნუცუბიძე | მერის წარმომადგენელი სოფელ დიდი ჯიხაიშში | |
| 18 | ზაზა ნიკოლეიშვილი | მერის წარმომადგენელი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 19 | კახაბერ კოპალეიშვილი | მერის წარმომადგენელი სოფელ იანეთში | |
| 20 | ვლადიმერ სოხანეიშვილი | მერის წარმომადგენელი დაბა კულაშში | |
| 21 | სოფიკო კიკაჩეიშვილი | მერის წარმომადგენელი მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 22 | გრიგოლ დარჯანია | მერის წარმომადგენელი ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 23 | ოთარ წულეისკირი | მერის წარმომადგენელი ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 24 | მერაბ არველაძე | მერის წარმომადგენელი ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 | თენგიზ ქორიძე | მერის წარმომადგენელი საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 26 | ხათუნა ლებანიძე | მერის წარმომადგენელი გორმაღლის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 27 | გივი სიხარულიძე | მერის წარმომადგენელი ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 28 | მერაბ თევზაძე | მერის წარმომადგენელი ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში | |
| 29 | მარინა ქორიძე | მერის წარმომადგენელი სოფელ გამოჩინებულში | |
| 30 | ქალთამზე ჩხაიძე | მერის წარმომადგენელი სოფელ ბაშში | |
| 31 | კობა ბიბილეიშვილი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება | |
| 32 | ელგუჯა კალაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება | |
| 33 | ხათუნა გაგუა | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გერთიანება | |
| 34 | ტატა გოგუაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი | |
| 34 | პავლე კაპანაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი | |
| 35 | ივანე კილტავა | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა | |
| 36 | ბენიამინ სანებლიძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ | |
| 37 | გიორგი ხელისუფალი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“ | |
| 38 | ალექსანდრე სტურუა | შპს სპორტკომპლექსი „სამტრედია“ | |
| 39 | ვეფხია სტურუა | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ | |
| 40 | გურამი ჩაჩუა | რაგბის კლუბი „ფენიქსი“ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 41 | ირმა შანიძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახ. #1 სახელოვნებო სკოლა | |
| 42 | ნანა ქანთარია | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლა | |
| 43 | მაია ნიკოლეიშვილი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების სამუსიკო სკოლა | |
| 44 | ქეთინო მეფარიშვილი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა | |
| 45 | ლეილა ქვირია | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა | |
| 46 | ნინო ნანობაშვილი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა | |
| 47 | ნინო ნინუა | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სამხატვრო სკოლა-გალერეა" | |
| 48 | ვეფხია ნადირაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ეროსი მანჯგალაძის სახ.კულტურის ცენტრი" | |
| 49 | იზაბელა ლეგაშვილი | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება | |
| 50 | შალვა არზუმანიანი | შპს „სამტრედიის მაცნე" | |
| 51 | სოფიკო კირთაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი" | |
| 52 | მარინა თევზაძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" | |
| 53 | ზემინარ ბოხუა | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა" | |
| 54 | შმაგი ჭაფოძე | ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი" | |